სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта «Боец РККА» на грузинском языке

# მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

სამშაბათი 18 იანვარი 1944 წ. № 6 (120)

# ბრძანება
## უმაღლესი მთავარსარდლისა
### არმიის გენერალ როკოსოვსკის

**ბელორუსიის** ფრონტის ჯარებმა მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, დღეს, 14 იანვარს, იერიშით დაიკავეს ბელორუსიის სიოლქო ცენტრი ქალაქი **მოზირი** და დიდი რკინიგზის კვანძი და ქალაქი **კალინკოვიჩი**—გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები პოლესიეს მიმართულებით.

ქალაქების **მოზირისა** და **კალინკოვიჩის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ბატოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **ბელოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **კრიუჩკოვის**, გენერალ-მაიორ **კონსტანტინოვის**, გენერალ-მაიორ **ი. ი. ივანოვის**, გენერალ-მაიორ **ალექსეევის** ჯარებმა, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **კაზაკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბესკინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **იგნატოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ეგოროვის** არტილერისტებმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **პანოვის** ტანკისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რუდენკოს** მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქების **მოზირისა** და **კალინკოვიჩის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**მოზირისა**“ და „**კალინკოვიჩის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 14 იანვარს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქები **მოზირი** და **კალინკოვიჩი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების **მოზირისა** და **კალინკოვიჩის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**

**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი.**

1944 წლის 14 იანვარი.

# ყოველ მეცადინეობაზე სრულვყოთ მებრძოლის მომზადება

ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია ნაწილებისა და ქვედანაყოფების ყოველმხრივ მომზადებულობაზე და უწინარეს ყოვლისა მებრძოლთა ცალკეულად მომზადებაზე.

რიგითი შემადგენლობის მებრძოლთა ცალკეულად მომზადებას ჯარების მომზადების მხოლოდ პირველ პერიოდში არ უნდა დავჯერდეთ. ათეულის, ოცეულის, ასეულისა და თვით ბატალიონის ჩამოყალიბების დროს საჭიროა დღითი დღე სრულვყოთ სალდათის ცალკეულად მომზადება.

სწორედ ასე იქცევა ასეულის მეთაური ამხ. სვანიძე. ტაქტიკურ მეცადინეობებზე ოცეულისა და ასეულის მომზადების დროს ის მებრძოლებისაგან მოითხოვს სწრაფ გადარბენას, მოხერხებულ გადაძრომას, ღრმად ჩასაფრებას, სროლისათვის მოხერხებული ადგილის გამონახვას, ბრძოლის ველზე სანიშნეების გამონახვაში ვარჯიშს, ამ სანიშნეებამდე მანძილის გამორკვევას და საერთოდ ტაქტიკური სწავლების იმ მრავალი სხვა ელემენტის შესრულებას, რომლებზეც მთლიანად არის დამოკიდებული ქვეგანაყოფისა და ნაწილის საბრძოლო მზადყოფნა. იმ მებრძოლებისაგან, რომელნიც უსიცოცხლოდ გადარბიან, ცუდად ძვრებიან, უშნოდ ისანგრებიან, უმცროსი ლეიტენანტი სვანიძე განმეორებას მოითხოვს.

სამწუხაროდ, ჩვენი ფრონტის ნაწილებში ისეთი მეთაურები გვხვდებიან, რომელნიც მებრძოლთა ცალკეულად მომზადებას ყურადღებას აქცევენ მხოლოდ ახალი შევსების მომზადების პირველ პერიოდში, მერე კი, როდესაც ტაქტიკურ მეცადინეობებზე გადადიან, ამას ივიწყებენ.

მებრძოლის ცალკეულად და ამავე დროს მოკლე დროის განმავლობაში წარმატებით გაწვრთნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ კი მეთაურს მეცადინეობის დროს თავის ხელქვეითის არც ერთი შეცდომა არ გამორჩება.

წარმოვიდგინოთ, რომ ათეულმა მიაღწია საიერიშო ზღუდეს. აუცილებლად უნდა შემოწმდეს ყოველი მებრძოლი—იარაღი გასწმინდა თუ არა, მომზადდა თუ არა გრანატები საბრძოლოდ, შეივსო თუ არა საბრძოლო მასალა, ერთი სიტყვით, შესრულდა თუ არა ყველაფერი ის, რაც საჭიროა წარმატებითი იერიშისათვის?

სერჟანტების და ოფიცრების მოვალეობაა—პირადი შემადგენლობის მებრძოლთა ცალკეულად მომზადებით სრულყოფის დროს, ისე მიაღწიონ, რომ მისი მებრძოლები მოხერხებული მეომრები გახდნენ.

# მოწინააღმდეგის ზარალი და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების ნადავლი 1943 წლის 24 დეკემბრიდან 1944 წლის 13 იანვრამდე განვლილ პერიოდში

1943 წლის 24 დეკემბრიდან 1944 წლის 13 იანვრამდე წარმოებული შეტევის განმავლობაში **უკრაინის** 1-ლი ფრონტის ჯარებმა შემდეგი ზარალი მიაყენეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს:

**მოსპობილია**: 2.204 ტანკი, 1.174 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 625 ნაღმსატყორცნი, 3.173 ტყვიამფრქვევი, 348 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 4.686 ავტომანქანა, 2 ჯავშანმატარებელი, 27 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად, 17 სარკინიგზო ეშელონი, 28 ორთქლმავალი, 400 ვაგონი, 40 ბენზინის ცისტერნა, 3.063 საზიდარი ტვირთიანად.

მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 100.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

ამავე ხნის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 316 ტანკი, 902 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 321 ნაღმსატყორცნი, 2.000-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 11.500 შაშხანა და ავტომატი, 157 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 3.514 ავტომანქანა, 47 საწევარი და ტრაქტორი, 480 მოტოციკლი, 20 ორთქლმავალი, 1.000-ზე მეტი ვაგონი, 3 ეშელონი ტვირთიანად, 40 ცისტერნა, 230 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად, სურსათიანად და სხვა სამხედრო ქონებიანად, 3.100 საზიდარი ტვირთიანად, 3.662 ცხენი, 40 რადიოსადგური.

ტყვედ წამოყვანილია 7.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

**საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.**

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
## 17 იანვრის ოპერატიულ ცნობიდან

17 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები **ნოვოსოკოლნიკის** ჩრდილოეთით ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ხლობოდა, კისელევიჩი, ალხიმოვო, გვოზდოვა, კუროვო.**

**ნოვოგრად-ვოლინსკის** დასავლეთით ჩვენი ჯარები დაეუფლნენ როვნოს ოლქის რაიონულ ცენტრს **ტუჩინს** და აგრეთვე დაიკავეს სხვა რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

**უმანის** ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითებისა და ტანკების კონტრიერიში.

ფრონტის სხვა უბნებზე დაზვერვა, საარტილერიო-სანაღმსატყორცნო სროლა და ზოგიერთ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

16 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 166 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 39 თვითმფრინავი.

# პოლონეთის მთავრობის განცხადება

**ლონდონი**, 15 იანვარი (საკტესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 15 იანვარს დილით პოლონეთის მთავრობამ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „პოლონეთის მთავრობა გაეცნო საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რასაც შეიცავს საკტესის 1944 წლის 11 იანვრის ცნობა, რომელიც გამოქვეყნდა როგორც პასუხი პოლონეთის მთავრობის 5 იანვრის დეკლარაციაზე. საბჭოთა კომუნიკე შეიცავს მთელ რიგ მტკიცებებს, რომლებზეც სრულ პასუხს იძლევა ის განუწყვეტელი ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ, რასაც უდიდესი ზარალის ფასად ეწევა პოლონელი ხალხი პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელობით, [illegible] მისწრაფვის რა იმისაკენ, რომ უზრუნველყოს გაერთიანებულ ერთა სრული სოლიდარობა, განსაკუთრებით საერთო მტერთან მათი ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე. პოლონეთის მთავრობა უფრო მიზანშეწონილად სთვლის ამჟამად თავი შეიკავოს შემდგომი საჯარო დისკუსიისაგან.

თუმცა პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია სცნოს ცალმხრივი გადაწყვეტილებანი და მომხდარი ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ან შეიძლება ადგილი ექნეს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაგრამ მან არაერთხელ გამოუთქვამს თავისი გულწრფელი სურვილი მიაღწიოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას ისეთ პირობებში, რომლებიც სამართლიანი და ორივე მხრისათვის მისაღები იქნებოდა. ამ მიზნით პოლონეთის მთავრობა მიმართავს ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებს და იმედოვნებს მათი შუამავლობით უზრუნველყოს მოლაპარაკება პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის ინგლისისა და ამერიკის მთავრობათა მონაწილეობით ყველა ძირითად საკითხზე, რომელთა გადაჭრამაც უნდა მიგვიყვანოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ და მტკიცე თანამშრომლობამდე. პოლონეთის მთავრობას სასურველად მიაჩნია ეს გაერთიანებულ ერთა გამარჯვებისა და ომის შემდგომ ევროპაში მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების ინტერესებისათვის“.

# საკტესის ცნობა

პოლონეთის მთავრობის მიერ 15 იანვარს ლონდონში გამოქვეყნებული განცხადების გამო საკტესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

1. პოლონეთის მთავრობის განცხადება, სადაც მთავარ საკითხს კერზონის ხაზის საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრად აღიარების შესახებ სავსებით ავლილი აქვს გვერდი და უგულებელყოფილია,—არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სხვა რამედ, თუ არა კერზონის ხაზის უარყოფად.

2. რაც შეეხება პოლონეთის მთავრობის წინადადებას მასა და საბჭოთა მთავრობას შორის ოფიციალური მოლაპარაკების დაწყების შესახებ, საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ეს წინადადება ნავარაუდევია იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი, ვინაიდან ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ დაიწყებს ოფიციალურ მოლაპარაკებას იმ მთავრობასთან, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილია.

საბჭოთა წრეები მიაგონებენ, რომ პოლონეთის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილ იქნა ამ მთავრობის მიზეზით, ვინაიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა გერმანელ ოკუპანტთა მტრულ ანტისაბჭოთა ცილისმწამებლურ კამპანიაში „კატინის მკვლელობათა“ გამო.

3. საბჭოთა წრეების აზრით, ზემოთ აღნიშნული გარემოებანი ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ, რომ პოლონეთის ახლანდელ მთავრობას არ სურს კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან.

# ვუპასუხებთ ლენინგრადელი სნაიპერთა წოდებას

## კომკავშირულ კრებებზე

№ ნაწილის ყველა ქვეგანაყოფში ჩატარდა კომკავშირული კრებები, რომელნიც მიეძღვნა ლენინგრადელ სნაიპერების მოწოდებას.

უფროს ლეიტენანტ ამხ. მამალაძის ასეულის კომკავშირულ კრებაზე სიტყვით გამოვიდა ათეულის მეთაური ამხ. ძველაია, რომელმაც განაცხადა:

— ლენინგრადელმა სნაიპერებმა უდიდესი საბრძოლო წარმატებები მოიპოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დაუღალავად მეცადინეობდნენ. მათ ზუსტი სროლა ისწავლეს უშუალოდ ბრძოლის ველზე, მტერზე გამანადგურებელი ცეცხლის დაშენის დროს. ვუსალმებით რა ლენინგრადელების მოწოდებას, ჩვენ სწავლო უნდა მოვაწყოთ საბრძოლო ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში.

— ჩემი ათეულის სნაიპერები,— სთქვა ამხ. ძველაიამ, — უკვე შეუდგნენ იმ ვალდებულებების განაღდებას, რომელნიც იკისრეს ლენინგრადელების მოწოდების პასუხად. საუკეთესო სნაიპერები გურგენიძე და გაფრინდაშვილი ახალგაზრდა მებრძოლებს ამზადებენ ზუსტ სროლაში.

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

## რიგითი მებრძოლის საჯაიას ვალდებულება

ამხ. ნ. სარჯველაძის ქვეგანაყოფში წითელარმიულ კრებაზე ფართოდ განიხილეს ლენინგრადელ სნაიპერების წერილი.

კრების შემდეგ ჩატარდა ჩავლა საბრძოლო სროლაში. სნაიპერმა რიგითმა მებრძოლმა ამხ. საჯაიამ ამოცანა შეასრულა „ფრიადზე". მან სროლის დამთავრებისთანავე განაცხადა:

— საქმით ვუპასუხებ რა ლენინგრადის ფრონტის სნაიპერებს, ვკისრულობ ვალდებულებას შევასწავლო ხუთ მებრძოლს სნაიპერული საქმე.

წითელარმიელი ბ. ჭანთარია.



საუკეთესო ისრიალელი მეავტომატე სერჟანტი ა. მიშინი, რომელმაც ლეიტენანტ ლებედევის კომანდით 15 წამის განმავლობაში 3 სამიზნე დაზიანა ზედი ვაზნით, ნაცვლად მიცემული რვა ვაზნისა.

## ვისწავლით ფრონტელებისაგან

ლენინგრადელ სნაიპერების წერილმა ამიერკავკასიის ფრონტის მეომრებისადმი მხურვალე გამოძახილი გამოიწვია № ნაწილში. ქვეგანაყოფებში ჩატარდა პოლიტინფორმაცია.

ერთ-ერთ საუბრის შემდეგ, რომელიც ლენინგრადელ სნაიპერების მოწოდებას მიეძღვნა, ახალგაზრდა მებრძოლებმა ზატორინმა და ტურკოვმა განაცხადეს:

— ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ძმებს—ლენინგრადელი სნაიპერების საგმირო საქმეებით. მთელს ჩვენს ძალ-ღონეს მოვახმართ სამშობლოს კეთილდღეობას, ვიმოქმედებთ ისე, როგორც ისინი მოქმედებდნენ.

ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა ბლიევმა პოლიტინფორმაციაზე მოუწოდა თავის მებრძოლებს საქმით უპასუხონ ლენინგრადელ სნაიპერების წერილს.

პოლიტინფორმაციის შემდეგ ასეული სასროლეთზე გავიდა. ლენინგრადელ სნაიპერების მოწოდებით აღფრთოვანებულმა მებრძოლებმა ყველა კომანდა დიდი მონდომებით შეასრულეს და კარგი შედეგიც მოიპოვეს. 97 პროცენტმა შეასრულა პირველი ვარჯიში შაშხანიდან სროლაში.

კაპიტანი შ. რიჟინკო.

# აღმაფრთოვანებელი ენთუზიაზმი გამოიწვია

უფროს ლეიტენანტ კომაროვის ქვეგანაყოფში განიხილეს ლენინგრადელი სნაიპერების წერილი, რომელმაც აღმაფრთოვანებელი ენთუზიაზმი გამოიწვია.

სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე რიგითი მებრძოლმა გაძულამ განაცხადა:—„გულმოდგინედ ვემზადები ფრონტისათვის, ვიცი პირისპირ შევხვდები გაცოფებულ გერმანელებს, რომ მოუსპო სიცოცხლე და შური ვიძიო ჩვენი სამშობლოს აწიოკებისათვის. მე მოვსპობ გერმანელებს ისე, როგორც სპობენ მათ ლენინგრადელი მებრძოლები".

ასეთივე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ალხაზაშვილი, ბახტანოვი, გაიდაი და სხვ.

მეორე დღეს ქვეგანაყოფი სამეცადინო ველზე გავიდა. ამ მეცადინეობაზე პირადმა შემადგენლობამ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ რიგითი მებრძოლი გაძულა, სერჟანტები გაიდაი, შესტოვი, უფროსი სერჟანტები ბახტანოვი, ვასილიევი, ალანია, რომლებმაც ამოცანა ფრიადზე შეასრულეს, რისთვისაც მათ სნაიპერის სახელწოდება მიენიჭათ.

სერჟანტი ალ. გაგუა.

# მ ო ნ ა დ ი რ ე

მთაში, სოფლის განაპირას,
ხევს რომ უმღერს წყალი,
სახლი რომ დგას ნაძვის ძირას,
როგორც პატარძალი,
აქ ცხოვრობდა მამაცი და
კარგი მონადირე.
ვაჟკაცობას თუმცა ცდიდა,
არ ერჩოდა ირემს,
მაგრამ ტყვიას არ აცდენდა
მხეცებს და ავ ნადირს.
კაცი, მღგარი სოფლის მცველად,
იყო მეტად მარდი.
როცა ძვირფას მშობელ მხარეს
თავს დაესხა მტერი,
სთქვა: „ნადირთა სისხლი ვღვარე
თუმცა ძლიერ ბევრი,
მაგრამ თავზე დაგვცემია
მხეცი უფრო ავი.
ახლა უნდა მარჯვე ტყვით
და ვაჟკაცის მკლავით".

* * *

მთაში, სოფლის განაპირას,
დედა-შვილს არ სძინავს.
ნეტავი რამ დააფიქრათ,
ან რამ მოაწყინათ?..
ბევრ ეჩვესი თვეა უკვე
რაც ელიან წერილს

და ამ იმბავს გამოურკვევს
ხსნიან ვერაფერით.
უცებ ვაჟი მონადირის,
ღელვით გახსნის გაზეთს.
წაიკითხავს, გაიკვირვებს
ამბავს ძვირფასს ასეთს:
რომ მამიკო საყვარელი
არის სნაიპერი,
დღემდე მოჰკლა თავის ხელით
ასოცამდე მტერი.
ნადირობა ამას ჰქვია,
ასე უნდათ ოხრებს,
გასროლილი ყველა ტყვია
მტერს შიგ გულში მოხვდეს.
შვილმა თოფი გაიტანა
ამ ღამეში გარეთ.
გაისროლა, დაიყვირა:
„სალხო გაიხარეთ,
მამა თურმე იქაც ცქებს,
იქაც თოფით დადის.
დააყარა ცეცხლი მხეცებს,
მუსრავს ვით ტყის ნადირს.
ბრძოლის ცეცხლში არ მოღლილა
მონადირის ხელი,
დღემდე მოჰკლა მისმა ტყვიამ
ასოცამდე მტერი".

წითელარმიელი ვ. ჩოლაშვილი.



# ლენინგრადელი სნაიპერის უფროს სერჟანტ ა. ახმეტიანოვის ნაამბობი

საძულველ გერმანელ ბანდიტების მიმართ სასიკვდილო გასროლა დამოკიდებულია შაშხანის მოხერხებულად გამოყენებაზე, ხელსაყრელ საცეცხლე პოზიციების შერჩევაზე, ოსტატურ შენიღბვაზე, მახვილ თვალთვალზე, მოქნილ მანევრირებაზე. იმიტომ, რომ სნაიპერს უნდა ჰქონდეს თვალის სიმახვილე ქორისა, გულადობა ვეფხვისა, ხოლო მელიას ეშმაკობა. ეს მართალიც არის. თითოეული სნაიპერული ჩასაფრება მოწმობს მდიდარ ისტორიას, იმის შესახებ თუ გამძლეობის, მოთმინებისა და მამაცობის წყალობით, როგორ უნდა აღმოაჩინო და გაანადგურო მტერი პოზიციური ბრძოლის რთულ პირობებში, როდესაც გერმანელები ღრმად არიან მიწაში ჩასანგრებულნი.

## ღუმელის მილიდან

ჩვენსა და გერმანელთა პოზიციებს შორის ნეიტრალურ ზონაში ოდესღაც ახალმოშენე ცხოვრობდა. გერმანელებმა ბარბაროსულად დაწვეს სახლი. დარჩა მხოლოდ ღუმელი ნაღვერდალით აწვერილი მილით. აი ამ ღუმელში შეეძვრნენ სნაიპერები ოხრეი, ჩეკუნოვი, პოლინა ნიკოლაევა, დმიტრიევი, პლატონოვი და მე. მანძილი ღუმელიდან გერმანელებამდე 150—200 მეტრამდე იყო. ჩვენ გამოვხვრიტეთ ნაკავი და ნაცარი, ხოლო მილიდან ვუმზერით. თვალნათლივ ვხედავდი გერმანელთა პოზიციებს. აი, მიწურიდან სადღაცით გამოვიდა, იქით გუშაგი დგას, ცოტა მოშორებით შიკრიკი მიდის ფარული მისასვლელებით. ერთი სიტყვით ხელსაყრელი პოზიციაა. უკეთესს ვერც კი მოიფიქრებ.

მინდვრებზე ცივი ქარი დაჰქრის, სნაიპერი კი თბილად წევს ღუმელში. სულ ახლოს ეცემა ნაღმი, ნამსხვრევები ხმაურით ეფანტებიან კედლებთან, სნაიპერს კი იმისი დარდი არა აქვს. იმისათვის, რომ ჩვენი მსროლელები გერმანელებს არ შეენიშნათ, ჩვენ ასეთი ხერხი ვიხმარეთ: მიხეილ როშანოვი, რომელიც ხელის ტყვიამფრქვევით ღუმლიდან ცოტა მოშორებით იმალებოდა, ხანდახან ცეცხლს გაუხსნიდა ხოლმე გერმანელთა ტრანშეებს. რასაკვირველია, მოწინააღმდეგის თვალთვალეები მხოლოდ მისკენ მიმართავდნენ თვალ-ყურს, როდესაც გერმანელი ნაღმების სროლას დაიწყებდა, მეტყვიამფრქვევე ღუმელისკენ მიიმალებოდა. აქ იყო მისთვის სამალავი საფარველი. ჩვენ კი ამ დროს არხეინად ვსპობდით გერმანელებს. ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ სად იყვნენ შემალული რუსი სნაიპერები.

როდესაც ასეული ახალ ზღუდეზე გადავიდა, ჩვენ მოგვიხდა ამ ხელსაყრელი პოზიციის დატოვება. უკანასკნელად სინანულით გადავხედე ღუმელს—აქ ხომ იქიდან 25 გერმანელი მოვკალით, ხოლო მთელმა ჩვენმა სნაიპერულმა გუნდმა 110-ზე მეტი ფაშისტი გაჟლიტა.

## ცარიელი კასრი

ხანდახან ასეც ხდება. იმოვი ხელსაყრელ საცეცხლე პოზიციას, შენიღბავ კიდეც, დღე კი მაინც მოცდარულია. გერმანელები არა სჩანან. ისინი თავიანთ მხეცურ ბუნაგებში სხედან. როგორ მოვიქცეთ ასეთ დროს? როგორ და საჭიროა ვიხმაროთ სამხედრო ეშმაკობა.

ჩვენც გვქონდა ერთხელ ასეთი მოცდარული დღე. სერჟანტი მიშუნოვი, რიგითი მებრძოლები დმიტრიევი, კორნეევი და მე თითქმის დაბინდებამდე ვიყავით ჩასაფრებაში, მაგრამ ვერაფერს გავხდით. მაშინ მე გადავწყვიტე მოვეტყუებია ფაშისტები. ჩვენსა და გერმანელთა პოზიციებს შორის ღრმა ხევი გადიოდა. მოვძებნე ცარიელი კასრი, ჩავაწყვე შიგ რამდენიმე მძიმე ქვა და ხევში ჩავაგორე. უდიდესი ხმაურით დაქანდა კასრი, იგი მიგორავდა ლოდებზე, ლოდ ლოდებს გადაახტებოდა ხოლმე და ცაცაბო კლდეებით ქვემოთ ეშვებოდა. თავზარდაცემული ფრიცები ტრანშეებიდან ამოცვივდნენ. ახლა კი ამოვიღეთ ისინი მიზანში. მიშუნოვმა და დმიტრიევმა ოთხი გერმანელი მოკლეს, ხოლო კორნეევმა და მე—ორი. ეს ჩვენთვის საბრძოლო წარმატების დღე იყო.

მე შეტევითი ბრძოლის მონაწილე გავხდი და იქ, გაათფრებული იერიშის მომენტში დავაფასე კიდეც სნაიპერული ტყვიის ძალა. მსროლელი ასეულის ფლანგით მივდიოდი. ასეთი მდგომარეობა სნაიპერს ფართო შესაძლებლობას აძლევს ცეცხლითი მანევრირებისათვის. ჩემი ამოცანა იყო მომესპო გერმანელი ოფიცრები და მეტყვიამფრქვევენი. ოთხი მეავტომატე მიფარავდა, რომელთა განუწყვეტლივ ვუთვალთვალებდი რა გერმანელთა პოზიციებს, ვერა ვხედავდი რა ხდებოდა სხვა მხარეზე. გარდა ამისა, მეავტომატეებს თვალთვალსაც ეწეოდნენ, მიაქებნიდნენ მიზანს... აი მოწინააღმდეგის ხელის მეტყვიამფრქვევე გამოძვრა ტრანშეიდან და ხევისაკენ გაიქცა. თუ იგი იქ საცეცხლე პოზიციას დაიკავებდა, სათლანგო ცეცხლს გაუხსნიდა ჩვენს მსროლელთა ჯაჭვს. მე იგი მოვკალი იმ მომენტში, როდესაც მირბოდა.

გერმანელმა ოფიცერმა ჭალიდან მეავტომატეთა ოცეული გამოიყვანა. დისტანცია 800 მეტრია. მე მოვკალი ოფიცერი და დანარჩენი მიზნები ჩვენს მეავტომატეებს გადავულოცე. გერმანელებს ეგონათ, რომ ოფიცერი შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ მოკლა, ამიტომ არც კი დაშლილან და მათ ჩვენმა ტყვიამფრქვევის ცეცხლმა მოუღო ბოლო.

ამ ბრძოლაში 12 ფაშისტი მოვკალი. ამასთან ერთად მე ჩვენს ნაღმსატყორცნელებსა და მეტყვიამფრქვევეებს მანათობელი ტყვიებით მიზანს ვუჩვენებდი.

# ოცეულის საბრძოლო სროლა

## მაიორი შ. თელია

ოცეულს, რომელსაც ლეიტენანტი ჭელიძე მეთაურობს, საბრძოლო ვაზნების სროლით იერიშში უნდა მიეტანა თავდაცვაში მყოფ „მოწინააღმდეგის" სამიზნეებზე.

დადგა საბრძოლო სროლის დღეც. ამ ოცეულს სანაღმტყორცნო და სატყვიამფრქვევო ოცეულებიც დაახმარეს. სალაშქრო იარაღით სრულიად აღჭურვილი ოცეულისა და მის გამაძლიერებელ საშუალებათა პირადი შემადგენლობა დაეწყო ნაწილის განლაგებაზე. სროლის ხელმძღვანელმა ოცეულის მეთაურს ჭელიძეს ამოცანა მისცა ჩიხტარებინა მარშში, რის შემდეგ დაჯგუფებულიყვნენ ნანგრევებს შორის. მარშმა კარგად იქნა ჩატარებული.

დაიკავა რა ნანგრევებში გამოსასვლელი ზღუდე შეტევისათვის, ოცეულის მეთაურმა მიიღო ზეპირი ბრძანება: შეტევა დაეწყო ცილაში სიმაღლის მიმართულებით. პირველი ამოცანა იყო იერიში მიეტანა „მოწინააღმდეგის" საცეცხლე წერტებზე, რომელნიც წინსქვილების ხაზზე იმყოფებოდნენ. შემდეგ კი იერიში მიეტანა განცალკევებულად მდგარ სვეტზე.

ამხ. ჭელიძემ შეტევის წინ ბრძანება მისცა ათეულის მეთაურებსა და გამაძლიერებელ საშუალებებს. ამასთან ერთად იგი მოელაპარაკა სანაღმტყორცნო და სატყვიამფრქვევო ოცეულების მეთაურებს ურთიერთთანამოქმედების შესახებ.

შეტევა დაიწყო. ოცეულისა და გამაძლიერებელ საშუალებათა საბრძოლო წყობა ასეთი იყო: ოცეული უტევდა ათეულებად, სანაღმტყორცნო ოცეული კი მოძრაობდა ათეულების უკან 50 მეტრის მანძილზე, ხოლო სატყვიამფრქვევო ოცეული ფლანგებით წინ მიიწევდა, ამასთან ერთი ტყვიამფრქვევი ცენტრში იყო.

„ბრძოლის" ველზე მოსჩანდა 62 სამიზნე, აქედან 26 უძრავი იყო, დანარჩენები კი მოძრავი. დაზიანებული მიზანი მწყობრიდან გამოდიოდა.

როგორც კი დაიკავა ოცეულმა პირველი შუალედი ზღუდე, გამოჩნდა მიზანიც. მეთვალთვალე 250 მეტრზე და 2 ვაზნის ტყვიამფრქვევი 400 მეტრის მანძილზე იყვნენ.

ლეიტენანტმა ჭელიძემ ბრძანება მისცა სატყვიამფრქვევო ოცეულის მეთაურს უმცროს ლეიტენანტ ცერცვაძეს ჩაეხშო „მოწინააღმდეგის" ტყვიამფრქვევები. მალე მეტყვიამფრქვეეებმა დააზიანეს ეს სამიზნეები, ხოლო მეთვალთვალე მსროლელებმა „მოსპეს".

ისარგებლეს რა იმით, რომ საცეცხლე წერტები უკვე ჩახშობილი იყვნენ, მსროლელებმა დაიკავეს გამოსასვლელი ზღუდე იერიშისათვის.

მაგრამ აქ, ფრონტის წინ, ოცეულს მრავალი მიზანი აღმოუჩნდა: სამკერდე სამიზნეების ჯგუფი 250 მეტრზე, გადამრბენები და 3 ხელის ტყვიამფრქვევი 400 მეტრის მანძილზე. ამავე დროს 800 მეტრის მანძილიდან ოცეულს სროლა აუტეხა „მოწინააღმდეგის" ერთმა ქვემეხმა და სამმა დაზგის ტყვიამფრქვევმა. მდგომარეობა მეტად გართულდა. ლეიტენანტმა ჭელიძემ უბრძანა სანაღმტყორცნო ოცეულს ჩაეხშო ხელის ტყვიამფრქვევები, ხოლო მსროლელებს მოესპოთ სამკერდე სამიზნეების ჯგუფი. მეავტომატეებს ხაჩიძეს, გონგლაძეს, აფხაზაშვილსა და ბერიძეს უნდა გაენადგურებინათ სამკერდე სამიზნეები და მეთვალთვალენი, რომელნიც ოცეულს ემუქრებოდნენ „კონტრიერიშით" ფლანგიდან.

მძლავრი და ზუსტი ცეცხლით სამიზნეების უმრავლესობა დაზიანებულ იქნა.

ოცეული ემზადებოდა იერიშისათვის. პირადმა შემადგენლობამ და მის განკარგულებაში არსებულმა საცეცხლე საშუალებებმა საომარი მისიდა შეიმარაგეს.

აიმართნენ თეთრი და წითელი მაიოლები—ეს სიგნალია იერიშის დაწყებისათვის. ნაღმტყორცნელებმა და მეტყვიამფრქვეეებმა გახსნეს გამანადგურებელი ცეცხლი „მოწინააღმდეგის" საცეცხლე წერტების მიმართ. მსროლელები იერიშზე გადავიდნენ.

დაიკავა რა „მოწინააღმდეგის" პირველი ხაზის სანგრები, ოცეული გამაგრდა მიღწეულ ზღუდეზე და ბრძოლა დაწყებულ იქნა „მოწინააღმდეგის" თავდაცვის სიღრმეში, მაგრამ აქ „მოწინააღმდეგის" ჯგუფი იერიშზე გადავიდა. ტყვიამფრქვევებმა და ნაღმსატყორცნებმა მოიგერიეს ჯგუფს გზა გადაუჭრეს, მსროლელები კი გაბედულად წინ მიიწევდნენ. ამის შემდეგ სროლის ხელმძღვანელმა „ბრძოლა" შეწყვიტა.

შემოწმების დროს გამოირკვა, რომ 62 სამიზნიდან 4 არ იყო დაზიანებული.

შეტევაში ყველაზე უნარიანად მოქმედებდა სერჟანტ ხუციშვილის ათეული. ამხ. ხუციშვილი საწესდებო კომანდებს ზუსტად იძლეოდა, იგი მიზანშეწონილად ანაწილებდა მსროლელებისა და ხელის ტყვიამფრქვევების ცეცხლს. მისი ათეულის პირადმა შემადგენლობამ ყველაზე მეტი სამიზნეები დააზიანა და პირველი გადავიდა იერიშზე.

ოცეულის პირადმა შემადგენლობამ პრაქტიკულად შეისწავლა შეტევაში ნაღმტყორცნელებთან და მეტყვიამფრქვეეებთან თანამოქმედება.



მაიორ აფრიკანოვის ქვედანაყოფის რიგითი მებრძოლი ა. პაპასკირი იერიშო დაბრკოლებათა გადალახვის დროს.

# ტაქტიკურ მეცადინეობაზე

ამას წინათ ჩატარებულ ტაქტიკურ მეცადინეობაში მონაწილეობას იღებდა ამხ. ბერაძის ქვედანაყოფი. მას მიეცა ამოცანა უკავებდა № მაღლობზე გამაგრებული „მოწინააღმდეგე".

ქვედანაყოფი უზრუნველყოფილი იყო ყველა იმით, რაც საჭირო იყო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

სათანადო მომზადების შემდეგ ქვედანაყოფი შეუდგა მოქმედებას. მალე იგი „მოწინააღმდეგის" არტილერიის ცეცხლს ქვეშ მოექცა.

ქვედანაყოფმა დაიკავა გამოსასვლელი ზღუდე. 11 საათია. გაისმა პირველი ქვემეხის ხმა. ეს საარტილერიო მომზადებაა. ქვემეხები „მოწინააღმდეგის" თავდაცვას ანგრევენ. უცბად ჰაერში შეუზხუნა ავიაციამდა. ქვედანაყოფი ენერგიულად წინ გაემართა. მის წინსვლას მარჯვენა ფრთიდან ეხარს უშლიდა დაზგის ტყვიამფრქვევი.

ქვედანაყოფი უკვე საიერიშო ზღუდეზეა. არტილერიამ ცეცხლი გადაიტანა სიღრმეში. იგრიალა „ურამ" და მამაცი მებრძოლებიც „მოწინააღმდეგეს" ეკვეთნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. „მოწინააღმდეგე" კონტრიერიშზე გადადის. იგი ტანკებს იყენებს. მაგრამ ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები გამოიჭრნენ საბრძოლო წყობის მარჯვენა მხარეზე და პირდაპირი დამიზნებით „მოწინააღმდეგის" ტანკები განადგურებული იქნა.

მებრძოლები განაგრძობდნენ ბრძოლას „მოწინააღმდეგის" თავდაცვის სიღრმეში. მოხერხებული მანევრით აღებულ იქნა „მოწინააღმდეგის" თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი—№ სიმაღლე.

ამ ტაქტიკურ მეცადინეობაზე ამხ. ბერაძის ქვედანაყოფის მებრძოლებმა გვიჩვენეს მაღალი მომზადებულობა.

საუკეთესო მოქმედებისათვის პირადმა შემადგენლობამ ნაწილის მეთაურისაგან მადლობა მიიღო.

ლეიტენანტი ვ. გაჩეჩილაძე.

# ჰიმნის დაბადება

1.

სიმღერა მრავალია, ჰიმნი კი—ერთი.

ყოველ ხალხს თავისი სიმღერები აქვს. მაგრამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს კი—ერთი, საერთო სახელმწიფო ჰიმნი.

შეიძლება შენ მღერი ისეთ სიმღერას, რომელიც მე არ ვიცი, შეიძლება მე მახსოვს ისეთი სიმღერა, რომელიც შენ არასოდეს მოგისმენია, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით ჩვენი ჰიმნი. მას მღერიან ახლა ბრძოლებს შორის შესვენების დროს საფრონტო მიწურებში, სწავლობენ ქალაქებსა და თოვლიან ტაიგის დაბებში. იგი მალე საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე აჟღერდება.

ყოველ სიმღერაში ხალხის სულის მხოლოდ ნაწილია ჩაქსოვილი, ხოლო ახალ სახელმწიფო ჰიმნში გამოხატულია მთელი ჩვენი ხალხის დიადი წარსული, მისი ბრძოლებისა და გამარჯვებათა მთელი გზა. მასში ჩაქსოვილია საბჭოთა სახელმწიფოს წარსული, აწმყო და მომავალი. მის სტრიქონებში მოთავსებულია მთელი ჩვენი ხალხისა და ჩვენი საკუთარი ბედ-იღბალი.

როდესაც შენ წარმოსთქვამ ხოლმე ახალი ჰიმნის სიტყვებს, განა არა გრძნობ, რომ ის შენზე, შენს ცხოვრებაზეა? განა ვერა სცნობ მასში შენს აზრებს? აი, ამიტომ, როდესაც ჟღერს სადღესასწაულო მელოდია და ხმა მტკიცდება დიად საგალობელში, ჩვენ გვაერთიანებს ერთი აზრი—ჩვენ ვართ უძლეველი ძალა, ურღვეველი სიმაგრე,—ერთიანი, ძლიერი საბჭოთა კავშირი. ჩვენ შეგვიძლია მივალწიოთ ყოველგვარ გამარჯვებას, რადგან ჩვენი გზა გაცისკროვნებულია ლენინის დიადი აზრებით, რადგან ჩვენ აღგვზარდა და ახალ გამარჯვებებისათვის აღგვაფრთოვანებს სტალინი. ჩვენი საქმე უკვდავია: დღევანდელ ომში ჩვენ ვწყვეტთ მომავალ თაობათა ბედ-იღბალს.

2.

აი, რატომ აქვს ასეთი საზეიმო სახე, ასეთი ღრმა გამოხედვა მეკავშირე გოგონას, რომელიც კაპელმეისტერ მაიორ ხიზანდჟუნის ხელმძღვანელობით იწყებს ჰიმნის პირველი სტროფის სიმღერას. აი, რატომ აქვს მას ასეთი საზეიმო და ამასთან მღელვარე გამომეტყველება. მას უნდა, რომ რაც შეიძლება კარგად და სწრაფად შეისწავლოს ჰიმნი.

ამაღლებულ ადგილზე დგას კლუბის პიანინო, რომელზეც მეკავშირე ლიუდმილა გეჩ უკრავს.

— შესვენება,—დაბალი ხმით უბნება მაიორი ხიზანდჟუნი.

— Славься, Отечество наше свободное...

— ძალიან კარგად მღერიან გოგონები: უბრალოდ და თავისუფლად.

— Счастья народов...

— უფრო ძლიერად!—მოითხოვს მაიორი ხიზანდჟუნი.

— ...Надежный оплот!

— Знамя советское, знамя народное

Пусть от победы к победе ведет!

ახლა უკვე კარგად დაიხსომეს და მთელი დარბაზი მღერის უკანასკნელ სტრიქონებს.

3.

ჰიმნი ჩვენი სახელმწიფოებრიობის გამოხატულებაა მუსიკაში. იგი ჩვენი მუსიკალური ღირსებაა.

ჰიმნის ტექსტი და მუსიკა უკვე დაწერილი და გამოქვეყნებულია. მაგრამ ახლა, ასეთ სადღესასწაულო შესრულების დროს ჰიმნი იბადება, როგორც ადამიანთა მილიონების ხორცშესხმული გრძნობა, რომელიც ქება-დიდებას ასხამს ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს დიდ ბელადებს, ჩვენს არაჩვეულებრივ ბედ-იღბალს.

ირაკლი ანდრონიკაშვილი.

# სწავლობენ სახელმწიფო ჰიმნს

იმ ქვედანაყოფში, რომლის მეთაური ლეიტენანტი გარბენკოა, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა კავშირის ახალი სახელმწიფო ჰიმნის შესწავლას.

ამ მიზნით გამოყოფილია ხელმძღვანელი. პირადი შემადგენლობა უზრუნველყოფილია ჰიმნის ტექსტით და ნოტით. ამჟამად სწარმოებს ჰიმნის სიტყვების შესწავლა. მებრძოლები ცდილობენ რაც შეიძლება მოკლე ხანში შეითვისონ იგი, რის შემდეგ შეუდგებიან მუსიკის შესწავლას.

ახალი სახელმწიფო ჰიმნი ფიდების ჰიმნია. ეს ჰიმნი, რომელიც დაიბადა საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა დღეებში და გამოხატავს ჩვენი სამშობლოს უძლეველობას, თითოეული მეომრისაგან მოითხოვს კიდევ უფრო სრულყოს თავისი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება და სასახელოდ შეასრულოს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ წითელი არმიის წინაშე დასმული ამოცანები.

წითელარმიელი მ. ბიორბაძე.

## ზეპირად იციან სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი

საარტილერიო დივიზიონში, სადაც პარტორგად უფროსი ლეიტენანტი აშორდია მუშაობს, დიდი მონდომებით შეუდგნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესწავლას. როგორც კი გამოქვეყნდა პრესაში ჰიმნის ტექსტი, აგიტატორებმა დივიზიონის პირად შემადგენლობასთან ჩაატარეს შინაარსიანი საუბრები ახალი სახელმწიფო ჰიმნის შესახებ.

მრავალმა ოფიცერმა და სერჟანტმა ახლა უკვე ზეპირად იცის ჰიმნის ტექსტი. მაგ. ლეიტენანტი კოტოევი, კაპიტანი ბერიძე, ლეიტენანტი კუხალაშვილი და სხვები ახლა უკვე ჰიმნის მუსიკას სწავლობენ.

ახალი სახელმწიფო ჰიმნის შესწავლა დაიწყეს აგრეთვე დივიზიონის ოფიცერთა ცოლებმაც. უფროსი ლეიტენანტის ამხ. ქერდიაშვილის მეუღლემ უკვე საუკეთესოდ აითვისა ჰიმნის ტექსტი.

წითელარმიელი შ. ჟალიჩავა.

# მადლობა დაიმსახურეს

ლეიტენანტ ს. გაგოშიძის შენაყოფში ჩატარდა საბრძოლო-სასწავლო სროლები ტანკსაწინააღმდეგო თოფიდან. ამ სროლებში თავი ისახელეს მებრძოლებმა ბარბაქაძემ და წოწილაძემ. მათ მეთაურის მადლობა დაიმსახურეს.

სერჟანტი **გ. ძირთაძე.**

---

წითელარმიელი ვაჟკაცების წერილებიდან

## ხამგოგიაბათვის

### მუდმივად ვსწავლობ სამხედრო საქმეს

„მე მზარეულად ვმუშაობ, მაგრამ ერთი წუთითაც არ ვივიწყებ ჩემს საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების საქმეს. ყოველთვის ვცდილობ საქმის კურსში ვიყო და ვეუფლებოდე იმ საკითხებს, რომლებსაც ჩემი ამხანაგები სწავლობენ.

— ამ რამდენიმე დღის წინათ ჩემი ამხანაგები ემზადებოდნენ შაშხანიდან საბრძოლო-სასწავლო სროლებისათვის. საამისო მზადება მეც დავიწყე. პირველ რიგში გავიმეორე და ჩემი ცოდნა განვამტკიცე შაშხანის მატერიალური ნაწილის შესწავლით. შემდეგ კი თავისუფალ საათებში პრაქტიკულად ვვარჯიშობდი. როცა სროლა ჩატარდა, სასროლო ვარჯიში მე ფრიადზე შევასრულე, რისთვისაც მეთაურმა მადლობა გამომიცხადა.

გარდა ამისა, მე წარმატებით შევისწავლე აგრეთვე ნაღმოსნულ საქმესაც. დაჟინებით ვსწავლობ ქვემეხის მატერიალურ ნაწილს, მის დანიშნულებას და საბრძოლო თვისებებს. გაუგებარ საკითხებზე ხშირად ამხანაგებსაც მივმართავ ხოლმე, რომლებიც ნაყოფიერ დახმარებას მიწევენ.

მეცადინეობა და მზარეულის მოვალეობის შესრულება ისე მაქვს ორგანიზებული, რომ ორივეს წარმატებით ვასრულებ".

მზარეული **შ. გაგოშიძე.**

---

# საბჭოთა საქართველოში

## კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები მთავრობის მაღალ ჯილდოს უპასუხებენ მძლავრ შრომითი აღმავლობით

### ახალი წარმატებებისაკენ

მახარაძის რაიონის მშრომელებში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების დაჯილდოების შესახებ. კოლმეურნეობებში შედგა მიტინგები. სოფ. მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულმა ტ. მიქატაძემ კოლმეურნეობის სახელით განაცხადა: წელს 10 პროცენტით გავადიდებთ ჩაის, ციტრუსების, ერთწლიანი კულტურების მოსავალს.

სოფ. შრომის, ნატანების და სხვ. კოლმეურნეობებში მთავრობის მაღალი ჯილდოს პასუხად მინდვრის სამუშაოების ღირსეულ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.



ლუდმილა იოსების ასული ხურციძე მახარაძის რაიონის მერიის სახელობის კოლმეურნეობის წევრია. გასულ წელს ამხ. ხურციძემ მაღალი მაჩვენებლებით მოიპოვა მუშაობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ხურციძე დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის".

### მაღალი ჯილდოს პასუხად

დიდი სიხარულით გაიგეს ხაშურის მტს-ის მუშა-მოსამსახურეებმა, რომ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი კონსტანტინე მოსიაშვილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

მაღალი ჯილდოს პასუხად ამხ. მოსიაშვილი მთელი ბრიგადის სახელით კისრულობს ვალდებულებას 150 პროცენტით შეასრულოს მიმდინარე წლის სამუშაოთა გეგმა, 20 იანვრისათვის დაამთავროს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტი.

მტს-ის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება ვადაზე 20 დღით ადრე დაამთავროს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტი, 10 პროცენტით გადამეტებით შეასრულოს სათადარიგო ნაწილთა რემონტისა და აღდგენის გეგმა.

## კიდევ უფრო გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას

— ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭაქვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დიდი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას კოლმეურნეობის თავმჯდომარის ალექსანდრე ჯიქიას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ამ ცნობის მიღებასთან დაკავშირებით ამხ. ჯიქიამ განაცხადა: მთავრობის ჯილდომ დიდად გამახარა. ეს ჯილდო არა მარტო პირადად ჩემი ჯილდოა, იგი ამავე დროს ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა თავდადებული მუშაობის შეფასებაა. მთავრობის ჯილდო მავალებს კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიმუშაო საკოლმეურნეო დოვლათისა და ბარაქის გასამრავლებლად, დაუცხრომლად ვზარდო ჩვენი შემოსავალი.

გასული წელი კოლმეურნეობამ ღირსსაჩინო წარმატებებით დაამთავრა. კოლმეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 300 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 280.000 კილოგრამისა. დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული ტუნგოს ნაყოფის დამზადების გეგმაც. დამზადებულია 80 ათასი კილოგრამი, ნაცვლად 41 ათასი კილოგრამისა. ასევე გადაჭარბებითაა შესრულებული სიმინდის, სოიის და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გეგმებიც. მაღალი მაჩვენებლებია მოპოვებული აგრეთვე მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

კოლმეურნეობამ თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ასე მაგალითად, შეტანილია სატანკო კოლონების მშენებლობის ფონდში 500 ათასი მანეთი, თვითმფრინავების ესკადრილიების მშენებლობის ფონდში 100 ათასი მანეთი. სამხედრო სესხზე ხელმოწერა შეადგენს 1 მილიონ მანეთს და სხვ.

კოლმეურნეობის წევრები მხოლოდ ერთი აზრით არიან განსჭვალული—კიდევ უფრო გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მისცენ ქვეყანას და ფრონტს, ყოველმხრივ დაეხმარონ წითელ არმიას ჰიტლერელი ურდოების განადგურებაში.

სოფ. ჭაქვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ბოლშევიკურად ხელმძღვანელობს ალექსანდრე ჯიქია, საპატიოდ შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

**ნ. ბერულავა.**

---

# ქართველი ხალხის შვილები

**მოქმედი არმია,** (საკუთარი კორ.). ნაწილში რუსებთან და უკრაინელებთან ერთად მსახურობენ ქართველი ხალხის შვილები.

— ჩვენ, ქართველებს,—ამბობენ ისინი თავიანთი წინაპრებივით,— ჩვეულებად არა გვაქვს, მტერს რომ დავინახავთ, ზურგი ვუჩვენოთ მას, თუნდაც სიკვდილი მოგველოდეს...

ამას წინათ რიგითმა მებრძოლმა სვანიძემ საბრძოლო დავალება მიიღო, წინა ხაზზე გასულიყო და იქ დღის განმავლობაში 5 ჰიტლერელი მოეკლა. ჯოჯილის კოლმეურნემ ახლა უკვე სერჟანტმა ბ. მახარაძემ 53 ჰიტლერელი გაანადგურა. ჩინებულად მოქმედებენ საფარში სნაიპერები ზ. ბეჟანიშვილი, ნ. სანაძე. ამ მეომართა საბრძოლო ანგარიშზე უკვე ჩაწერილია ოთხმოცზე მეტი განადგურებული ფაშისტი.

— ეს მხოლოდ დასაწყისია,— სწერენ სნაიპერები თავიანთ თანამემამულეებს.—მშობლიური სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი ჩვენ დაუღალავად სრულვყოფთ ჩვენს საბრძოლო გაწვრთნილობას, ვამრავლებთ ჩვენს წარმატებებს.

### ქვეის სიმჭიდროვე დაჯილდოვდა

ამხ. გაჩეჩილაძის და კვერნაძის ქვეგანაყოფებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული შინაგანაწესის დაცვას. აქ ყველგან სისუფთავე და წესრიგია. მებრძოლები კოხტად არიან ჩაცმულ-დახურულნი. საბრძოლო იარაღებიც კარგად არის მოვლილი.

ყოველივე ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ზემდეგებს სანაგაძეს და ფირცხალავას, რომელნიც გულმოდგინედ ზრუნავენ მებრძოლების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. მათ სამართლიანად დაიმსახურეს ყველას სიყვარული.

სარდლობამ ისინი კეთილსინდისიერი მუშაობისათვის ქების სიგელებით დააჯილდოვა.

**პ. გ—ე.**

---

ანდრო ლომიძე

# მამა

მოვარიან ღამეს კრეისერი ნავსადგურისაკენ მიიჩქაროდა.

ხლვაური, ცისფერ რტოებიან ჭადრებით ულამაზესი ნაპირისაკენ მიერეკებოდა.

აქა-იქ თეთრ დელფინები ცვარბდნენ.

ზღვის ჯარისკაცები ვეშაპის ქედებს ეჯახებოდნენ, იმსხვრეოდნენ, ქაფდებოდნენ და შორს გარბოდნენ იქითკენ, სადაც ალვის ხის სილუეტს არწევდა ქარი. ხანდახან შებმული უზარმაზარი ტალღა გამოჩნდებოდა, კრეისერის უკანა ხაზზე მიუნარცხდებოდა. წყლის შხეფებს გემბანზე ისროდა. ზღვაზე ირწეოდა, ხომალდის გვერდებს ბერავდა, კრეისერის ცხვირთან ერთდებოდა, გარბოდა და თან მ ჭიკჭიკა მთვარისფერი ქაფი.

თანდათან იზრდებოდა ალვის ხის სილუეტი, ნავსადგურში თეთრად აზიდული შენობა და წისქვილი. გიორგის გულში დაიზრდებოდა სიხარული. თითქოს ალვის ხე მისი მოუცველი მამა იყო... და იგი მოძრაობდა, ტოტებს მკლავებივით შლიდა, საყვარელი შვილის შესახვედრად ემზადებოდა.

***

კრეისერი ნავსადგურში ნაპირს მიადგა. უმცროსი ლეიტენანტი გიორგი ლიფარიძე გამოემშვიდობა კაპიტანს, თავის ამხანაგებს, ჩემოდანს ხელი ჩაავლო და გემბანიდან გადმოვიდა.

***

ქუჩებზე დარგული ევკალიპტები შრიალებდნენ. ბოძებზე გაბმული მავთულები ღუღუნებდნენ ბავშვობის უდარდელ, უშფოთველ დღეებივით. ალვის ხეების, ჭადრის, ევკალიპტის ფოთლებთან ერთად გიორგის გული წლეროდა. გული მღეროდა ფოთლების, ბალახის ხმაზე.

თავის სახლთან ბაყაყის ყიყინმა გამოარკვია. ბავშვობაში არ უყვარდა ბაყაყები, ქვით ხელში დასდევდა, ხოცავდა. ახლა კი ათრთოლდა. ბაყაყმა კი არა, წყლით სავსე თხრილიდან თითქოს მისმა ბავშვობამ დაუძახა. თხრილს მიუახლოვდა. გიორგი მზად იყო ბაყაყი ხელში აეყვანა, მოეფერებოდა. ბაყაყმა წყალში ისკუპა, წყალზე წრეები აღიძრნენ, გაფართოვდნენ. ბალახიან ნაპირს მიაწყდნენ. ბალახიდან ხის პაწია, მუშტის ოდენა ნავი გამოცურდა, აქანავდა და შუა თხრილში გაჩერდა. ბავშვობა მოაგონდა.

ქიშკარი შეაღო.

კრამიტით გადახურულ სახლთან ხუთი ჭადარი ჩანდა, ოდნავ შეყვითლებულ ფოთლებს აშრიალებდა.

„მოვარის შუქზე ვდგავარ. სახლს ვამას, და, ძმას. რომ დამინახონ. როგორი სიხარული იქნება! თითქმის წელია არ გვინახავს ერთმანეთი. ნათელა კისერზე ჩამომეკიდება, ალექსი გადამეხვევა, მამა ლოგინიდან წამოიჭრება თვალებცრემლიანი"—ფიქრობდა იგი.

ადამიანი ბედნიერებისაკენ მიისწრაფვის. და როცა გრძნობს ბედნიერებამდე ცოტა რამ ნაბიჯი დარჩენილი, უკან იხევს, ბედნიერებას ეთამაშება, იდუმალ სიამოვნებას გრძნობს ამით. გიორგიმ ჭადრის ძირში ტყავის პალტო გაშალა. ზედ წამოწვა, თავქვეშ ხელები ამოიდო.

ნაძვნარის მეხუთე დღეებში ჭადრის ჩრდილში წამოწოლილი ბევრჯერ უოცნებია ნუნუზე. მაშინ გიორგი საზღვაო ტექნიკუმში სწავლობდა. დიდრონი, ცისფერი თვალები, შავი თოვლისფერი ყელი, მტრედისფერი კაბა... სამი წლის განმავლობაში უყვარდა, მაგრამ ვერ გაუმხილა. ნუნუ სხვა ქალაქში რომ გადავიდა საცხოვრებლად, გიორგიმ სამი წერილი მისწერა—უპასუხო დარჩა. არც ერთ წერილზე ნუნუს პასუხი არ გაეცა.

„ვინ იცის, სად არის ნუნუ? იქნებ გათხოვდა კიდეც, შვილიც?"

გემზე ხშირად იგონებდა ნუნუს. უმიზეზოდ ელოდებოდა. ერთხელ კაიუტაში „ანნა კარენინას" კითხულობდა. მაგიდის ფეხს მეხუთე ნაგრა მიარტყა. ძალიან ეტკინა, შეიგინა. უცებ შეკრთა, შერცხვა. თითქოს ნუნუ იქ ყოფილიყოს და გინება გაეგონოს.

თვალებს დახუჭავდა წარმოიდგენდა: ნუნუ კაიუტაში ცეკვას ეუფლოვანი. მისი გული მწუხრარად მუშაობს. გულის ყოველი მოძრაობა სავსე მკერდიდან ლურჯ ნისლს ზვირთებად გამოსცემდა. კაიუტა ივსება ნუნუს მკერდიდან წამოსულ ლურჯი ნისლით და ცეცხლოვანი მღერის სიყვარულზე.

გიორგის უნდოდა ის ჭადარი დაეკოცნა, რომელსაც სუნთქავდა ნუნუ. ნუნუს გულში შეჭრილ უბაზეს ალერსად ჩაეფრქვია; გაეთბო, გაეხარებინა ნუნუს გული და შიგვე დამარხულიყო.

გიორგი წამოხტა და ჩქარი ნაბიჯით სახლის კარებისაკენ გაემართა.

***

ნათელა კივილით მოეხვია გიორგის.

— მამა აღარ გვყავს... მამა...—ქვითინებდა.

გიორგის მუხლები მოეკვეთა, სკამზე ჩამოჯდა. მეორე ოთახიდან უმცროსი ძმა ალექსი თვალების ფშვნეტით გამოვიდა, უხმოდ გადაეხვია და ატირდა.

სახლისაკენ იმისათვის მიიჩქაროდა გიორგი, რომ მამას ნახავდა. ეხვეწებოდა იმისათვის რგავდა ხეხილს, ვაზს სხლავდა, მიწას ბარავდა, რომ მამა ესიამოვნებინა. მუშაობის დროს გრძნობდა: ბედნიერებით სავსე სახით მამა თვალს ადევნებდა მუშაობის ყოველ წამს. მოძრაობას. შენიშვნებს აძლევდა. გიორგი ხანდახან გულში არ ეთანხმებოდა მამას, მაგრამ ისე მუშაობდა, როგორც მამას სურდა.

გიორგიმ ნათელას თავზე ხელი გადაუსვა. ამოიოხრა და კარებთან გავიდა ალექსი გაჰყვა.

ერთხანს სდუმდნენ.

— მამა დიდხანს ავადმყოფობდა? რისთვის არ მაცნობეთ?

— ბოლო ხანებში მამა ისევ შეუპოვრად მუშაობდა კატარღაზე. ორი თვის წინათ რაღაც მამა დაესაფლავებოდა ძმის ბომბდამშენება დაბომბა ნავსადგური. მამა ავიაბომბის ტალღამ მოკლა.

გიორგიმ ჯიბიდან ფული ამოიღო, ალექსის მისცა.

— დაახურდავეთ, მოიხმარეთ.

ალექსი გაკვირვებით შეაცქეროდა მთვარით განათებულ ძმის მკაცრ სახეს.

— ჩვენი კრეისერი დილით ისევ საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად წავა. შევეცდები ავიღო, მაგრამ არ მინდა.

ალექსის მაგრა ჩამოართვა ხელი და ჩქარი ნაბიჯით ქიშკრისაკენ გასწია. ჭადრებთან დაბარბაცდა... ხეებში ქვევით წინათ ნაცნობიდან დაბრუნდა. გზაში ფეხი რომ შეუდგა ჭადარზე თეთრწვერიანი მამა შეეგება. წელიდით ტოტებს სჭრიდა. მამა ხიდან დაეშვა, გიორგი გადაეხვია: „როგორა ხარ, ჩემო სიამაყევ?"—ჰკითხა.

უნ ნაცრისფერად მიიხედა კრამიტით გადახურულ სახლისაკენ და თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა: მამა...

---

პ/მგ. რედაქტორი **ი. ლაშქარაშვილი**
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე **ვ. დარასელი**



ს/ნაწილის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С